

Makale Türü/Article Type: Araştırma Makalesi/Research Article

ქართული ლიტერატურა უცხოენოვანი მკითხველისთვის შესწავლის პროცესში  
ქართული ხალხური თქმულების “ბალადა ვეფხისა და მოყმისა” მიხედვითMariam SULKHANISHVILI<sup>1</sup>

## აბსტრაქტი

ქართული ენის შესწავლა წარმოუდგენელია ქართული ლიტერატურის გარეშე. თვით მათთვისაც კი, ვისთვისაც მშობლიური ენა ქართულია, აუცილებელი მომენტია ქართული ლიტერატურის ათვისება, რათა მას ჩამოუყალიბდეს სასაუბრო მეტყველების უნარ-ჩვევები. აღსანიშნავია, რომ უძველეს დროში, საგანმანათლებლო ცენტრები, ეკლესია-მონასტრებთან დაქვემდებარებულ ინსტიტუტებში არსებობდა, სხვადასხვა სამეცნიერო საგანთა შორის, მჭერმეტყველება, როგორც ცალკეული საგანი, ასე ისწავლებოდა. მისი მიზანი გახლდათ განათლებულ ადამიანს საუკეთესოდ ესაუბრა ქართულად. დღეს ამ მისიას ერთგულად ემსახურება ქართული ლიტერატურა, უძველესი და უმდიდრესი თემატიკით თუ მხატვრული სახეებით მდიდარი ქართული ენა. ენა სულია ერისა, რომელიც მუსიკალური სტიქიონის ცნობიერ გამოცხადებადაა მიჩნეული ლინგვისტების მიერ. ანთროფოსოფიული მეცნიერება გვაწვდის ცოდნას იმის თაობაზე, რომ თავდაპირველი ენის შემქმნელნი იყვნენ ქურუმები, იგივე სასულიერი ფენა, რომლებსაც ზე-ცნობიერებიდან მომდინარე სიბრძნე ხატ-სახეების სახით ეცხადებოდათ. ისინი ლოცულობდნენ ღვთაებებზე და მათ მიერ წარმოთქმული ლოცვა ერთვარი სიმღერა იყო, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ეძლეოდა სულიერი ცოდნის მიხედვით. ენა ოდითგანვე შეითავსებდა, როგორც რაციონალურ, ისე ირაციონალურ საწყისებს და მას ორმაგი მნიშვნელობა გააჩნდა, ერთი ჩვეულებრივი საკომუნიკაციო, მეორე სიმბოლური, რომელიც სულიერების ერთგვარ დეფინიციას ქმნიდა. ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ უძველესი თქმულებები რიტმის სახით, ანუ ლექსის ფორმით ყალიბდებოდა და ასე გადაეცემოდნენ ისინი თაობიდან თაობას ქართველი ერის მეხსიერებაში. ქართულ ლიტერატურას, პოეზიას თუ პროზას, ქართულ ენაზე შესრულებული მუსიკალური წყობა ახასიათებს, რომელიც ტრანსცენდენტურია და მისი კითხვისას რიტმის შეგრძნებას უშუალოდ მიჰყავხარ ერის სულთან. მხატვრული ლიტერატურის ხმამაღალი კითხვა, მიგვაჩნია, რომ ერთვარი მედიტაციაა, საიდანაც ხდება სიტყვების ჰარმონიული წყობის აღქმა მეხსიერებაში. ადამიანი ამ დროს თავისთავად, უნებურად იწყებს დამახსოვრებას და ცნობიერებაში ილექება უცხო სიტყვები. კიდევ ერთხელ განვმეორდებით და ვიტყვით, რომ ქართული ენის შესწავლა შეუძლებელია ქართული ლიტერატურის გარეშე. ჩვენ, აგრეთვე, განვიხილეთ, უძველესი ქართული ხალხური თქმულება: “ბალადა ვეფხისა და მოყმისა”, როგორც ნიმუში მარტივი სიტყვების ერთგვარი კომბინაციისა, რომლის პოეტური სტრუქტურა საუკეთესო საშუალება გახლავთ მსმენელის ყურამდე ადვილად მიაღწიოს უცხო სიტყვებმა. სქოლიო, რომელიც აუცილებელი კომპონენტია ნებისმიერი ტექსტის წაკითხვისას, ინდივიდუალურ მიდგომას და სამუშაოს საჭიროებს უშუალოდ სწავლის პროცესში. სწორედ ამ დროს ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი შეუდარებელ სამსახურს გვიწევს, რომელსაც ბევრჯერ, იქვე, ვქმნით ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისას.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენის განათლება, ვეფხი და მოყმის ხალხური ზღაპარი, უცხო ენების შესწავლა, ენის ათვისება.

<sup>1</sup> Dr., Düzce Üniversitesi, Fen-Edebiyat Fakültesi, Kafkas Dilleri ve Kültürü Bölümü, Gürcü Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı, Düzce/TÜRKİYE, e-posta: [mariamsulkhanishvili@duzce.edu.tr](mailto:mariamsulkhanishvili@duzce.edu.tr), ORCID-0000-0003-2071-3609.

**Bu Yayıma Atıfta Bulunmak İçin/Cite as:** Sulkhanişvili, M. (2024). ქართული ლიტერატურა უცხოენოვანი მკითხველისთვის შესწავლის პროცესში ქართული ხალხური თქმულების “ბალადა ვეფხისა და მოყმისა” მიხედვით / Yabancı Dillerde Konuşanların Eğitimi Sürecinde Gürcü Edebiyatı – “Kaplan ve Genç Adam”a Göre Gürcü Halk Masalında Lirik Şiir. *Düzce Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi*, 14(Özel Sayı), 91-102.

## YABANCI DİLLERDE KONUŞANLARIN EĞİTİMİ SÜRECİNDE GÜRCÜ EDEBİYATI – “KAPLAN VE GENÇ ADAM”A GÖRE GÜRCÜ HALK MASALINDA LİRİK ŞİİR

### Öz

Gürcü dilini, Gürcü edebiyatı olmadan öğrenmek imkânsızdır. Ana dili Gürcüce olanlar için bile, iletişim becerilerinin gelişmesi açısından Gürcü edebiyatını öğrenmek mecburidir. En eski zamanlardan beri, kilise-manastır bünyesinde olan eğitim merkezlerinde farklı bilimsel derslerin yanı sıra belagatin (güzel konuşma) ayrı bir ders olarak öğretildiği bilinmektedir. Bunun amacı tahsilli insanların Gürcü dilini güzel konuşabilmelerini sağlamaktır. Günümüzde bu misyonu, sanatsal biçimler açısından en eski ve en zengin temalara sahip olan Gürcü dili ve Gürcü edebiyatı sadakatle üstlenmektedir. Dilbilimciler tarafından müzikal unsurun bilinçli bir ifadesi olarak kabul edilen dil, bir milletin ruhudur. Antropozofi bilimi, orjinal dilin yaratıcılarının, süper bilinçten gelen bilgeliğin ikonalar halinde kendilerine ilham edildiği bir manevi katman (dini sınıf) olduğu bilgisini vermektedir. Bu kurumlarda Tanrılara dua ediyorlardı. Nitekim okudukları dua, manevi bilgiye göre sembolik manalar yüklenen bir tür şarkıydı. Çok eski zamanlardan itibaren dil, hem rasyonel hem de irrasyonel unsurları birleştiren bir yapıdaydı. Biri sıradan iletişimsel, diğeri sembolik olmak üzere çift anlama sahipti ve bu bir tür maneviyat tanımı yaratırdı. En eski efsanelerin ritm yani şiir şeklinde oluşurduğu ve Gürcü milletinin hafızasında nesilden nesile aktarıldığı ortadadır. Gürcü diliyle icra edilen Gürcü edebiyatının, şiirinin ya da nesirinin müzikal kompozisyonu vardır. Bu sınırsız bir kompozisyonudur ve onu okurken ritm duygusu sizi doğrudan milletin ruhuna götürür. Sanatsal eserleri yüksek sesle okumanın, kelimelerin uyumlu dizilişinin hafızada algılanan bir tür meditasyonu olduğunu düşünüyoruz. Kişi bunu yaparken istemsizce kendi kendine ezberlemeye ve bilincinde yabancı kelimeler biriktirmeye başlar. Bu bakımdan Gürcü edebiyatını öğrenmeden Gürcü dilini öğrenmek imkânsızdır. Bu çalışmada “Kaplan ve Genç Adam” adlı eski bir Gürcü halk efsanesini ele aldık. Basit kelimelerin bir kombinasyonu olan bu eser, şiirsel yapısıyla yabancı kelimelerin dinleyicilerin kulağına kolayca ulaşmasını sağlamaktadır. Herhangi bir metni okurken gerekli bir bileşen olan dipnotlar, bireysel bir yaklaşım gerektirir ve doğrudan öğrenme sürecinde etkilidir. Bu bakımdan günlük konuşma dilimize de etki eden Gürcü Dili Eş Anlamlılar Sözlüğü önemli bir katkı sunmuştur.

**Anahtar Kelimeler:** Gürcü dili eğitimi, Vefkhi ve Mokmi halk masalı, Yabancı dil öğrenimi, Dil edinimi.

## საკვანძო სიტყვები

უცხო ენის შესწავლის საკითხები, მეთოდოლოგიის უფრო გამარტივებულად გადაწყვეტის გზები, მიდგომები ამ თემატიკის ირგვლივ, ზოგადად მრავალფეროვანია. პრაქტიკებზე დაკვირვებისას უდაოა, რომ სიტყვის გამოთქმასა და სმენით ასოციაციას ეძლევა გადაწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენც ამავე თვალსაზრისს ვიზიარებთ და პირად პრაქტიკაში, როგორც ლიტერატურის პედაგოგს, მიმაჩნია, რომ უნდა მოვახდინოთ მხატვრული ლიტერატურის აქტიური ჩართულობა ენის შესწავლის პროცესში სრულფასოვანი რეზულტატის მისაღწევად. კერძოდ, რაში მდგომარეობს ეს ჩართულობა?!

ქართული კულტურა უძველესია თავისი ისტორიით, ქართულ ენაზედ შესრულებული მწერლობაც აგრეთვე უძველესია და მრავალ საუკუნეს ითვლის. პირველი ლიტერატურული ნიმუში “შუშანიკის წამება”, რომელიც მეხუთე საუკუნითაა დათარიღებული, მეცნიერულ საფუძველს იძლევა, იმის თაობაზე, რომ საქართველოში სამწერლობო-სალიტერატურო ენას, გაცილებით ადრინდელი საფუძველი გააჩნდა. ამ უძველესი რომანის ენა კი მეტად დახვეწილია, მისი მხატვრული სტრუქტურა მაღალ ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის, თვით ოცდამეერთე საუკუნის მკითხველისთვისაც არ ქმნის გადაულახავ ბარიერს შინაარსის აღქმის თვალსაზრისით, რასაკვირველია ჩვენ გვჭირდება სპეციალური ლექსიკონი, სადაც უძველესი ქართული სიტყვებია განმარტებული, რომელიც დღევანდელ დროში სამეტყველო და სალიტერატურო ქართულში უმეტესად აღარ იხმარება. ქართული ენის შესწავლა, რომ პირდაპირი ზიარება გახლავთ კაცობრიობის უძველეს ცივილიზაციასთან, ამაზე არ შევაჩერებთ ყურადღებას.

მნიშვნელოვან და შეუცვლელ პრინციპად მიგვაჩნია ქართული ლიტერატურის შესწავლა ენობრივი შემეცნების კუთხით. ჩვენ ვეთანხმებით და მხედველობაში გვაქვს ქართველ ენათმეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი: “ენა მუსიკალური სტიქიონის ცნობიერი გამოცხადებაა და არა მარტოდენ ‘ნიშანთა სისტემა.’ ენა შეითავსებს რაციონალურ და ირრაციონალურ საწყისებს. მუსიკის გამოთქმელი სტიქია მარადშეუცნობი რჩება პოეტურ სიტყვაში, მისი ანარეკლია ბგერათა ევფონია, რიტმი და გლოსსოლალია” (გამსახურდია, 1999: 1)

დიახ, ენის დიმენსიონალური ბუნება ამ ორ საწყისის ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს, ხოლო ამ უკანასკნელს, ლოგოსს, როგორც მუსიკალური სტიქიონის გამოცხადების გამოხატულებას, საუკეთესოდ გადმოსცემს პოეზია, პროზა თუ ზოგადად მხატვრული სამყარო. ლიტერატურას გააჩნია სიტყვათა მუსიკალური წყობა, რიტმი, რომლის მეოხებითაც ის კავშირს ამყარებს ადამიანის გრძნობიერ მე-სთან, სამშვინველთან, პიროვნების შინაგან სამყაროსთან. ეს პრინციპი მოქმედებს თითოეულ ინდივიდზე, განურჩევლად იმისა, იცის თუ არ იცის მან ქართული ენა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უცხოენოვან მსმენელს არ ესმის სიტყვის შინაარსი მშობლიურ ენაზე, იგი უნებურად იწყება მეხსიერების გააქტიურების პროცესი და თავისთავად იქმნება

ლექსიკური მარაგი. ამის უამრავი მაგალითის მოხმობა შეგვიძლია პირადი პრაქტიკიდან. მაგალითად: საქართველოში პოეზიის მეფედ აღიარებული გალაკტიონ ტაბიძე გვიმხელს ხელოვნების შექმნის საიდულოს: “მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, - როგორც მინდა - ჩემთვის დიდებული სხივი გამოობრწყინდა.” (ტაბიძე, 1992: 202)

მისი მხატვრული შედეგები კი სავსეა ამგვარი რიტმიული ფორმებით: “ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ... ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის, სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ! როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს, ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს, ...” (ტაბიძე, 1992: 13) და მრავალი სხვა. პოეტი ამბავს უბრალო სიტყვებით სიმღერით გვიყვება. აგრეთვე, უმარტივესი და გენიალურია მუსიკალური რიტმიულობის შეგრძნებით გადმოცემული ტერენტი გრანელის პოეზია, რომელსაც დამახსოვრების თვალსაზრისით მეორეჯერ გამეორებაც აღარ სჭირდება: “გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი. სული საზღვარს გადასცდება ფრენით, ახლაც მახსოვს მისამართი შენი.” (გრანელი, 1991: 47)

ერთი შეხედვით იგი თხრობითი მარტივი წინადადებების კომბინაციაა, რომელიც პოეტმა შედეგად აქცია მუსიკალური სმენის წყალობით. ისმის კითხვა: რაში მდგომარეობს ამ შედეგის თუ ზოგადად შედეგების შექმნის ძალა?! კითხვაზე პასუხი საკითხის სიღმისეულ გააზრებას საჭიროებს, კერძოდ, ჩვენ უნდა შევეხოთ თავად შემოქმედებითი პროცესების ტექნიკას.

ლიტერატურისმცოდნეობაში ამ საკითხს ანუ ენას, როგორც ლინგვისტური სამკაულის ღირებულებას მხატვრულ სტუქტურებში გამოვლენილს, თავად მწერლების და პოეტების მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან ხსნიან მკვლევარნი. მხედველობაში გვაქვს ხელოვანის უშუალო სულისმიერი კავშირი პირველფენომენტან. ეს პირველფენომენი კი, როგორც ამას ლიტერატორები გვაუწყებენ, თავად კოსმიური სულია. ერის სულიც მასთან მიმართებაში განიხილება და შესაბამისად ეროვნული ლიტერატურაც. ამიტომაც კიდევ ერთხელ განვმეორდებით თუ ვიტყვით, რომ ქართული ენის შესწავლა ქართული ლიტერატურის გარეშე შეუძლებელია და ეს შეუცვლელი პრინციპი არა მხოლოდ უცხოენოვან მსმენლს ეხება, თავად ქართველს, ზოგადად პიროვნებას, რომლის მშობლიური ენაც გახლავთ ქართული. ლინგვისტები კი, რომელნიც ენის წარმოშობის საკითხს სამყაროს სულთან სიღრმისეულ კავშირში განიხილავენ, ნახეთ რა საინტერესო მოსაზრებებს გვაუწყებენ ამის თაობაზე: “კაცობრიობის პირველადი ენა მუსიკალური და ალოგიური იყო, ეს იყო ენა-სიმღერა, იგი თანდათან უახლოვდებოდა და ეგუებოდა ემპირიული სამყაროს საზრისებსა და ლოგიკას, მაგრამ მასში მუსიკალურ-ემოციური საწყისი პრევალირებდა მაინც. ეს ენა ქურუმთა პრივილეგია იყო, მისი ექო დღესაც შემორჩენილია ძველი საკრალური პოეზიის ჰიმნებში, უძველესი ქართული სიმღერების ალოგიურ ტექსტებში. კაცობრიობა თავდაპირველად კი არ “ლაპარაკობდა”, არამედ სიმღერით ლოცულობდა (გამსახურდია, 1999: 1)



დიახ, ენა სულია რა თქმა უნდა, ხოლო ეს სული რაციონალური და ირაციონალური საწყისების ერთგვარი კომბინაციით ცოცხლდება სალიტერატურო ქართულით, ასე წარმოსდგება და განაგრძობს არსებობას დღემდე. ქართველი კაცი მშობლიურ ენას ოდითგანვე ისე აღიქვამდა, როგორც მასაზრდოებელ წყაროს, იგი იყო “პური ჩვენი არსობისა”. ქართული ენა საუკუნეების მანძილზე სალიტერატურო სტუქტურით ყალიბდებოდა პოეტებისა და მწერლების ინდივიდუალური ძალისხმევის მეოხებით. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილი მხატვრული ხატ-სახეები ერთგვარ იმაგინაციას წარმოადგენდნენ მსმენელისათვის, მთხრობელ-შემქმნელნი კი ამით საკუთრივ ქართული სულიერების ინტერპრეტირებას ახდენდნენ, სადაც შინაარსობრივად გვიყვებიან ადამიანისა და სამყაროსეული ყოფის უღრმეს ჭეშმარიტებებზე. ეს თემები შემდგომში ინდივიდუალულ ჭრილში გადამუშავდა პიროვნული ემანსიპაციის პროცესთან ერთად და საუკუნეების ადრეულ ეტაპებზე, სხვა ერების კულტურებთან შედარებით უფრო ადრე, ჩვენი ეროვნული ცნობიერება გარდაიქმნა მრავალფეროვან შედეგებად. ერთ-ერთი ამგვარი შედეგრი გახლავთ საყოველთოდ ცნობილი პოემა “ვეფხისტყაოსანი”, რომელიც გართმული სტრიქონებით, მუსიკალური სტიქიონის თვითგამოვლინებით გვესაუბრება ადამიანის და სამყაროს შექმნაზე, კოსმოსის საიდუმლოებაზე. ზოგადად, ქართული მწერლობა სიმბოლურ-ენიგმატური ფორმით გადმოცემული დეფინიციაა ამ თემების, ხოლო როგორც მკვლევარნი შენიშნავენ, იგი პროფეტიზმითაა გაჯერებული მისი შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელსაც ყოველთვის ორმაგი დანიშნულება გააჩნდა მსმენელისთვის. ქართული ლიტერატურის შესწავლაც მეცნიერული კუთხით სწორედ ამიტომაც საინტერესო, ამავე დროს, იგი არა მხოლოდ ქართული ლექსიკის გამდიდრებას ემსახურება, არამედ, უშუალოდ გვაწვდის ცოდნას ერის სულიერების, მისი მსოფლმხედველობის შესახებ, რომელიც უძველესი ცივილიზაციის სახეა. ამავე ხედვით შევარჩიეთ უძველესი ქართული ხალხური თქმულების ნიმუში: “ბალადა ვეფხისა და მოყმისა”. მის მაგალითზე გიჩვენებთ, თუ როგორ ვახდენთ მისი შინაარსის შესწავლას უცხოენოვანი მკითხველსათვის.

“ბალადა ვეფხისა და მოყმისა” გახლავთ ნიმუში ქართული ხალხური პოეზიის. ხალხური პოეზია ყოველთვის ზედმიწევნით გამოხატავს ამა თუ იმ ერის, ხალხის შინაგან ბუნებას, მათ სულიერებას, მისწრაფებებსა თუ ოცნებებს. ქართული ხალხური პოეზიის შესწავლის მთავრი მომენტია ის, რომ იგი საუკეთესოდ იძლევა ქართველობის იდენტიფიკაციის კოდს, რომელიც მუდმივად გახსენებს მე-ცნობიერების შინაგან სამყაროს, არსს. ხალხური პოეზია გახლავთ ის მონივთული მასალა, რომელიც აირეკლება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და იგი ჟამთა მსვლელობაში მუდმივ მეტამორფოზას განიცდის ინდივიდუალურ შემოქმედებებში. უფრო მეტიც, ხალხური გადმოცემები, პოეზიად თუ პროზად ნათქვამი, იყო ინსპირატორი ყოველი დროის ხელოვნებისთვის და ამის უამრავი მაგალითი ვიცით. “ბალადა ვეფხისა და მოყმისა”, სწორედ, ქართველი ადამიანის სულიერების მაჩვენებელია და ამავე დროს შთამაგონებელი წარმართველი ძალაა მისთვის მიწიერი ცხოვრების გზაზე. ტექსტის შინაარსის გაგება არ გახლავთ მარტივი. იგი ძველ ქართულ სიტყვებს შეიცავს და თანამედროვე ენაზე რთულად აღსაქმელია, მით უმეტეს უცხოენოვანი

მკითხველისთვის. შესაბამისად მოვახდენთ ლექსის შინაარსის ადაპტირებას ცალკეული სიტყვების გამარტივების გზით და ათვისების პროცესში ვქმნით ე.წ. სქოლიოს თითოეული ნიმუშისათვის. სქოლიოს შექმნაში უმთავრეს სამუშაოს გვიწევს ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი, რაც შესწავლისას გვეხმარება ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. მოყმე გახლავთ იგივე ყმა, ახალგაზრდა კაცი, ჭაბუკი. პირშიშველა იგივეა რაც, პირტიტველა ანუ უწვერული ჭაბუკი, რომელსაც ჯერ სახეზე წვერი სრულად არ ამოსვლია ანუ ძალიან ახალგაზრდაა, ყმაწვილი კაცი, მაგრამ არა ბავშვი. სიტყვა მოყმე ძველი ქართული ენის კუთვნილებაა და მისი სინონიმებია: ვაჟკაცი, რაინდი, ჩაუქი. ეს სიტყვები თანამედროვე სასაუბრო ქართულში აღარ გამოიყენება, მხოლოდ მხატვრული ლიტერატურული მეტყველებისთვის გახლავთ დამახასიათებელი. შიზნ - სიტყვა საცალფეხო ბილიკს აღნიშნავს კონკრეტულ პოემაში. “შიზნ გავიარე კლდისანი” - კლდის წიბოა, საცალფეხო ბილიკია, ძალიან ვიწრო გზაა, რომელსაც სხვა გვერდს ვერ აუვლის და მხოლოდ ერთი ადამიანისთვისაა განკუთვნილი. ეს ერთი მნიშვნელობით, ხოლო მისი მეორე მნიშვნელობა ქალის ყელსაბამს უკავშირდება და გულისხმობს ძვირფასი ქვების, მარგალიტებით გაკეთებულ სხმულს, რომელსაც ქალბატონები ყელზე ან ხელზე იბნევენ. შიზნი ანუ იგივე შიზი ძვირფასეულობად ითვლებოდა ძველ საქართველოში, რომლის ტარებაც მხოლოდ შეძლებულ, მდიდარ ადამიანებს შეეძლოთ. მდიდარი ადამიანები, მოგეხსენებათ, საზოგადოების ერთ, გარკვეულ კასტას წარმოადგენდა, რომელთა აღზევებასაც სხვა რიგითი ადამიანებისგან განსხვავებით სულიერი და გონებრივი უპირატესობა განაპირობებდა. განმარტების მესამე ვარიანტი სვანური ენის ლექსიკას უკავშირდება. შიზნი სვანურად ნიშნავს შარვალში გასაყრელ ზონარს, იგივე ქამარს, რომლის სახელწოდებაც, ვფიქრობთ, მითოლოგიურ სიმბოლიკასთან სიღრმისეულ კავშირშია. შიზი- მეოთხე მნიშვნელობით ჯაჭვია, რომელსაც მითოლოგიურ წარმოდგენებში გააჩნია საკრალური დატვირთვა, კერძოდ, მიწიერი ადამიანები შიზის ანუ ჯაჭვის საშუალებით არამიწიერ არსებებს უკავშირდებოდნენ. შიზი, რომელიც ყელზე, ხელზე, წელზე შესაბნევად გამოიყენებოდა და შარვალში გასაყრელ ქამარსაც გულისხმობდა, საბოლოოდ გზის მაჩვენებლის სიმბოლო იყო. ამ გზის შესახებ ცოდნა გააჩნდათ ძველი დროის ადამიანებს, რომლებიც ღვთისშვილებად იწოდებოდნენ და რომელთა ცნობიერებაც სულიერებისკენ იყო მიმართული. ეს ცოდნა მითოსმა შემოგვინახა, აგრეთვე, უძველეს ქართულ ხალხურ თქმულებებშია გაბნეული. ფშავ-ხევსურთა წარმოდგენით, (ფშავლები და ხევსურები ქართველთა უძველესი ტომები გახლავთ) შიზები ის უხილავი, ვიწრო ბილიკებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანები ზეცაში ადიან ღმერთთან. ვფიქრობთ, რომ ლექსი: “ბალადა ვეფხისა და მოყმისა” საკრალური თხზულებაა, რომელსაც სულიერების გზაზე მავალი კაცის ისტორიის თხრობა დაუსახავს მიზნად. მისი გახალხურება კი ქართველი ერის სულიერი მისწრაფების მაჩვენებელია და მომავალი თაობებისთვისაა განკუთვნილი. ამრიგად, “ქამარს”, რომლის უძველესი სახელწოდებაც გახლავთ სიტყვა “შიზი”, ორმაგი მნიშვნელობა გააჩნდა. იგი სიმბოლოურად და საკრალური მნიშვნელობით ფიზიოლოგიურ სხეულზე წელგამყოფის როლი ჰქონდა მინიჭებული, რომლითაც საჭმლის მომწელებელი

სისტემა გამიჯნული იყო ზედა, გულმკერდისეული ჩაკრისგან, მიწიერ კაცს არამიწიერისგან აცალკევებდა.

ქართულ მითოლოგიურ ლექსიკონშიც ვკითხულობთ: “შიბი – „ჯაჭვი“, ცის და მიწის კავშირის ერთ-ერთი საშუალებაა. ფშაველ-ხევსურთა წარმოდგენით ოქროს შიბით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ღვთისშვილები. შიბები მათთვის ბილიკებია, რომლის საშუალებითაც ისინი სტუმრობენ ერთმანეთთან. შიბით ადიან ღვთისშვილები მორიგე ღმერთის კარამდე... („ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა“). მთელი ცა დაქსელილია უხილავი შიბებით, რომლებზეც განუწყვეტლივ მოძრაობენ ისინი. ზოგჯერ ხილულ სახეს იღებენ და ეჩვენებიან მოკვდავთ. ასეთი შიბების ხილვა ჰქონდა ვაჟა-ფშაველას დედას, რომელსაც თავად მოუყვლია ეს ხილვა: „მე და ჩემ ბიძაშვილს ქალს სხლოვანს დერეფანში გვეძინა. შუალამე იქნებოდა, დგანდგარი, ბრდგნიალი დადგა ისეთი, მეგონა მთა-ბარი თუ იქცევიაო. შეშინებული წამოვჯე ლოგინში, გავიხედე და მთელი ცა განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული, ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვანის გორითა, გადაბმულები, ზედ ცეცხლის ბალღები ადიოდნენ და ჩამოდდიოდნენ და ისეთ მწკეპრ (წმიდა) ხმაზე გალობდნენ, ისე ტკბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო, ამგვარი წარმოდგენა ერთ ხალხურ ლექსშიც არის გამოხატული: ღვთის კარზე საკვებურადა ზდგომიან ალვისხენია, წვერზედ ხქონია მომბული ცხრა-კეცად შიბი გრძელია, ზედ ისხდეს ანგელოზები, მხართ ებნეს ოქროს თბენია, ისეთი ხმითა გალობენ, ყურება სანატრელია” ([შიბი - NPLG Wiki Dictionaries](#) (2.10.2024).

ამრიგად, სიტყვა შიბის გამოყენების საკრალური ამბავი ხშირად გვხვდება ქართულ მითოლოგიაში, რაც შეეხება ნადირობის თემას, რითიც იწყება პოემა, იგი უძველესია და აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილი თემატიკაა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მითოლოგიაში. ნადირობის მისტერიას სიმბოლურად უკავშირებენ ინიციაციის გარკვეულ საფეხურზე მდგომ ადეპტს, რომელიც მოწოდებულია სულიერი სამყაროს ადაპტაციისაკენ განათლების უფრო მაღალ დონეზე ასასვლელად. პოემაში მოთხრობილი ამბის მიხედვით მოყმეს ანუ ახალგაზრდა უწვერულ, გამოუცდელ მონადირესაც იგივე გზის გავლა ჰქონდა მიზნად დასახული, მაგრამ მისი შებმა ვეფხვთან საბედისწეროდ დასრულდა. ტრაგიკული სცენები სულისშემძვრელია. შვილმოკლული დედა ჭირისუფალია არა მხოლოდ საკუთარი შვილის, არამედ მოკლული ნადირის, ვეფხვის. იგი ცხარე ცრემლებით დასტირის ორივე მოკლულს. მას ვეფხვის დედასთან მისვლა სწადია ჭირის მოზიარედ. ქართველი დედა, ბუნების დიდი დედაა, შემწყნარებელი, თანამგრძნობელი, მოსიყვარულე, მტრის მოჭირისუფლე, რომლის გულშიც სამყარო მთლიანდება და სიყვარულად იღვრება. ეს სიყვარული თანაბრად ნაწილდება მთელს ცოცხალ ბუნებაზე. ამის უამრავი მაგალითი გააჩნია ქართულ ფოლკლორს. საინტერესო იქნება მსგავსი ისტორიის მოსმენა სხვა ერების ხალხურ წარმოდგენებშიც. ამ მეტად პოპულარულ ლექსს ქართველნი ფანდურზე თუ ძველებურ საკრავებზე შესრულებით დღემდე მღერაინ. იგი უზუსტესად წარმოადგენს ქართულ სულიერებას, რითაც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ქართული ეროვნული ცნობიერება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემა, გახლავთ უძველესი ქართული ხალხური შემოქმედებითი აზროვნების ნიმუში, რომლის, დაახლებით, ცამეტიდან ოცდაათზე მეტი ვარიანტით სახელდება. მისი ზუსტი წარმოშობის თარიღი უცნობია, ხოლო შინაარსი ხალხურია და ზეპირსიტყვიერება საუკუნეების განმავლობაში ერთი თაობიდან მეორე თაობას გადასცემდა, როგორც ქართველი ადამიანისათვის დამახასიათებელ შინაგან სულიერ განწყობილებას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ, იგი იმდენად ახლობელი და საყვარელია ეს ბალადა ქართველი ხალხისთვის, დღემდე ზეპირად წარმოსთქვამენ და მღერიან მას ქართველები. რა თქმა უნდა, ამ ბალადის ირგვლივ არსებობს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, ლიტერატორთა კვლევები იმის დასადგენად თუ როდის დაიწერა ბალადა, რა შინაარსს ატარებს იგი და სხვა. განიხილება მისი განსხვავებული ვერსიები. ჩვენ ამ მიმართულებით ეს თემა არ წარმოგიდგენია, შესაბამისად არ ჩავთვალეთ საჭიროდ ყურადღება გაგვემახვილებინა მკვლევართა მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი ვერსიების განხილვა. რასაკვირველია ერთი სტატიის ფარგლებში ეს ყოველივე წარმოუდგენელია. თემას სათაური შევურჩიეთ იქიდან გამომდინარე, რომ მისი მოკლე, შეჯერებული შინაარსი მარტივად მიგვეწოდებინა უცხოენოვანი მკვლევარისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სიტყვების ეტიმოლოგიურ, სემანტიურ მხარეზე გავამახვილეთ ყურადღება ჩვენის მხრივ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი სიტყვა გახლავთ “შიბი”, რომელიც მოექცა ჩვენი ინტერესის არეალში და ჩვენეული მოსაზრებით იგი დავაკავშირეთ სხვადასხვა სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობასთან თუ რამდენგვარად გამოიყენება ეს სიტყვა ქართულ ენაში. ამის შესახებ ჩვენ სტატიაშივე მივუთითეთ, რომ გამოყენებულია ქართული მითოლოგიური ლექსიკონები. ჩვენ, კი, მხოლოდ პარალელი გავავლეთ ამ სიტყვების მნიშვნელობებს შორის და მოკრძალებულად გამოვთქვით ჩვენეული მოსაზრება, რომელიც წარმოვადგინეთ თემაში. კერძოდ: შიბი არის ძველი ქართული სიტყვა, რომელიც მრავალგვარი მნიშვნელობით გამოიყენებოდა ძველ ქართულში და ველაზე საინტერესო ვერსიით იგი მიწიერ ადამიანს სულიერ სამყაროსთან უხილავი ძაფით აკავშირებდა. ანალოგიური თქმულებებით სახელდება უამრავი უძველესი ქართული ხალხური თქმულებები. ეს მომენტი მივიჩნიეთ საინტერესოდ და ვფიქრობთ, რომ ეს პოემა თავისი წარმოშობის უძველეს დროში ქართველთა ერთ მეტად მნიშვნელოვან პოემა “ვეფხისტყაოსანს” უკავშირდება. სწორედ ამგვარმა სულიერმა მისწრაფებებმა მოუმზადა საფუძველი შოთა რუსთველის უკვდავ გენიას, რაც დიდი და საინტერესო თემატიკა გახლავთ ქართული ლიტერატურის კრიტიკისა და სამეცნიერო აზროვნების ისტორიაში.

აქვე გთავაზობთ ამ მეტად მნიშვნელოვანი ლექსის შინაარსის სრულ ვარიანტს:

ხალხური

“ბალადა ვეფხვისა და მოყმისა”

მოყმემ თქვა, პირშიშველამა,

შიბნ გავიარე კლდისანი,



მოვინადირენ, დავლახენ,  
ბილიკნი ჭიუხისანი.  
შამამხედეს კლდისა თავზედა  
ხორონი ჯიხვებისანი,  
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,  
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.  
შავვარდი ვეფხვსა ნაწოლსა,  
დრონ იყვნეს შუალამისანი,  
ვეფხვი რომ წამამიფრინდა,  
თვლანი მარისხნა ხთისანი.  
შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი,  
მაშინ დაიდრნეს მიწანი,  
კლდეები ჩამაინგრივნეს,  
შტონ დაილეწნეს ტყისანი,  
დრო არარ დარჩა მოყმესა,  
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.  
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,  
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,  
გაზით გაართვნა კალთანი,  
ჯაჭვისა ჯავშანისანი.  
მოყმემაც ხელში იყარნა  
ვადანი თავის ხმლისანი.  
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,  
დრონ იყვნეს წაქცევისანი.  
ვეფხვი კლდით გადმაეკიდა,  
ჩამააწითნა ქვიშანი.  
თაოდ კლდის თავზე შამაწვა  
მოყმე სულამამდინარი,  
ქვიშას მაჰლებავს წითლადა,  
სისხლი ზედ ჩამამდინარი.

ვინ ეტყვის მაგის დედასა,  
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი.  
უერთოდ კი არ იხარჯნეს  
ჩვენ მონადირის ისარნი.  
იარებოდა დედაი  
ტირილით თვალცრემლიანი,  
ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია  
გაჯავრეული, ტიალი,  
ჩემს შვილს - ხმლით, იმას - ტოტითა  
დღე დაუღამდათ მზიანი.  
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,  
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,  
მათ დაუხოცავ ერთურთი,  
არ დარჩენ სირცხვილიანნი.  
ტირლით წყლულებს უხვევდა  
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,  
შვილო, არ მახკვდი, შენ გმინავ,  
დაქანცული ხარ ჯაფითა,  
ეგ შენი კაბის კალთები  
ტიალმა როგორ დაფლითა?  
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,  
ხმალი ქნვაში გაგიცვდა.  
არც იმან მოგცა მეტი დრო,  
აღარც შენ დააცალია,  
ვეღარც შენ დაიფარიე  
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,  
ვეღარცა ვეფხვმა ტოტები,  
ხმალმა დაკუწა ძვალია.  
მაგის მეტს აღარ გიტირებ,  
შენ არ ხარ სატირალია.

ლაშქარში, მეგობარშია  
 არ იყავ საწუნარია.  
 მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,  
 ეგეც სამარის კარია,  
 ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე,  
 ვეფხვებთან მეომარია.  
 ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი  
 ელანდებოდა მძინარსა,  
 ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს  
 ტანზეით აყრის რკინასა,  
 ხან კიდენ იმისი შვილი  
 ვეფხვს გადაავლევს ყირასა.  
 აი, ამ სიზმრებს ხედავდის,  
 გამაელვიძის მტირალსა.  
 ხან იფიქრებდა, უდედოდ  
 გაზრდა ვინა თქვა შვილისა,  
 იქნება ვეფხვის დედაი  
 ჩემზე მწარედა სტირისა.  
 წავიდე, მეც იქ მივიდე,  
 სამძიმარ უთხრა ჭირისა,  
 ისიც მიაშობს ამბავსა,  
 მეც უთხრა ჩემი შვილისა,  
 იმასაც ბრალი ექნების

უწყალოდ ხმლით დაჭრილისა! (ქართული ხალხური პოეზია, 1974. გვ.28; )

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ქართული ხალხური პოეზია. (1974). „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“ - გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“: 28.თბილისი.
- გრანელი,ტ. ( 1991). ტერენტი გრანელი, გამომცემლობა “აიეტი”, ორ ტომად, ტ. 1, თბილისი.

მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის (ქართული მითოლოგია) 2020 შიბი - NPLG Wiki Dictionaries (2.10.2024).

კოტეტიშვილი, ვ. (1934). ხალხური პოეზიის პირველი ტომი, თბილისი.

გამსახურდია, ზ. (1999). “მთვარის ნიშნობა” - საიუბილეო გამოცემა ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დაბადების 60 წლისთავს, თბილისი; გვ. 1.

მითოლოგიური ლექსიკონი. ენციკლოპედიური ტიპის ცნობარი. აკაკი გელოვანი; რედაქტორი ლევან სანიკიძე, თბილისი, “საბჭოთა საქართველო”, 1983.

ტაბიძე, გ. (1992). “ქარი ქრის”, გალაკტიონ ტაბიძე- რჩეული; გამომცემლობა “საქართველო”, თბილისი.

ტაბიძე, გ. (1992). “ქებათა ქება ნიკორწმინდას” გალაკტიონ ტაბიძე- რჩეული; გამომცემლობა “საქართველო”, თბილისი.

ქეგლ. (1962). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. ტ.VII, თბილისი.

ქეგლ. (1986). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბილისი.